

**მარინა დექრის ფოფორო (აშშ)
მადონა ჩამგელიანი (საქართველო)**

**„დაე, თქვენს მიკროავტობუსს პარგი მგზავრები ჰყავდეს“:
სვანეთის „გულაშ გაბრიელის“ დღესასწაულის
ლოცვები, სიმღერები და რითუალები**

წინასიტყვაობა

წინამდებარე სტატია ეძღვნება „გულაშ გაბრიელის“ დღესასწაულს, რომელიც აღინიშნება საქართველოში, კერძოდ, ზემო სვანეთში. ეს არის დღესასწაული მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის ტაძრისა, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის ბერის თემის ერთ-ერთ სოფელში – „გულში მდებარეობს (აქედან მომდინარეობს მისი სვანური სახელიც – „გულაშ გაბრიელ“, ქართულად „გულის გაბრიელი“) უშბის მთის ძირში. ისევე როგორც სვანური დღესასწაულების, სიმღერებისა და რიტუალების უმრავლესობის საწყისები, „გულაშ გაბრიელის“ ძირებიც, სავარაუდოდ, წინაქრისტიანულია, მასთან დაკავშირებულინეს-ჩვეულებები კი მიეკუთვნება იმ პლასტს, რომელსაც წერედიანი, ტუიტე და ბუხრაშვილი (შემდეგში წტბ), „ხალხურ ქრისტიანობას“ უწოდებენ (2018: 49).

კონკრეტულად ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი საარქივო თუ თანამედროვე მასალა, ძალიან მწირია. შევეცდებით წინამდებარე ნაშრომით შევავსოთ ეს დანაკლისი.¹ სტატიის მიზანია დავხატოთ ისტორიული და თანამედროვე წეს-ჩვეულებების ფართო სურათი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კონტექსტში და წარმოგიდგინოთ ჩვენი 2021 წლის საველე დაკვირვებების მოკლე ანალიზი.

„გულის გაბრიელის“ ტაძარი

გულის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარი, თავისი უნიკალური მოხატულობით, XI საუკუნისაა. ისევე როგორც მთელ საქართველოში, სვანეთშიც ტაძრებს ადგილების სახელებს არქევდინენ (მაგ.: გულის გაბრიელი, თანილის მთავარანგელოზი, მხერის მთავარანგელოზი, უშგულის ლამარია და ა.შ.). თუმცა, სვანეთში ეს გაცილებით მაღალ ხარისხშია აყვანილი და ამა თუ იმ ადგილზე მდგარი ტაძრების გასულიერება-გაადამიანურება ხდება. ამას მოწმობს თქმულებები და ლეგენდები, რომლებშიც ტაძრებს ისეთივე დამოკიდებულება და „ურთიერთობა“ აქვთ ერთმანეთთან, როგორც ცოცხალ ადამიანებს.²

1935 წელს ეთნოგრაფ ევდოკია კოუევნიკოვას ჩაუწერია ასეთი ლეგენდა „გულის გაბრიელზე“: „გულის გაბრიელი და მიქაელ მთავარანგელოზი მებიყოფილან. ერთხელ მლოცველს მისთვის ცხვარი შეუწირავს. „გულის გაბრიელს“ დაუმალავს მისთვის ცხვრის თავი და საკუთრად დაუტოვებია. მიქაელ მთავარანგელოზი მიუხვდა ძმას და შეუძახა: ჲე გაბრელ! შენ იყავი აწი ყველა არეული ტვინის დამლაგებელი და შენი სახელი ერქვას იმ ცედ ზნეს, რაც ადამიანს ტვინს აურევსო“. მართლაც, „გულის

¹ წყაროები სვანური მითოლოგისა და რიტუალების შესახებ, ასევე, მოსაზრებები ე.წ. „ხალხური ქრისტიანობის“ შესახებ, რაც, უდავოდ, სასარგებლო იქნება შედარებითი შესწავლისა და უფრო ღრმა ანალიზისათვის მომავალში, თავმოყრილია შემდეგ ნაშრომებში: შარაშიძე (1968), ჩართოლანი (1961), ფირცხელანი (1999), წერედიანი (2005), ტუიტი (2006, 2004), მეუანაძე (2018) და სხვ.

² ამ მხრივ, საინტერესოა ლეგენდა მხერის მთავარანგელოზის ტაძარზე, რომელმაც, ვენაშთან (იონა წინასარმეტყველის ტაძარი) შეფიბრის შედეგად მოიპოვა ადგილი მხერის მთაზე. აღნიშნული ლეგენდა 80 წლის ფიალორ წერედიანისგანაა ჩაწერილი და საარქივო მასალებითაც დასტურდება.

გაბრიელს“ განსაკუთრებით ავედრებენ ეპილეფსიურ და ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს.

გულის გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძრის მეკლიტული ოდითგანვე გოშუანის გვარი ყოფილა და მას ევალება დღეობის მასპინძლობა დღესაც.

რიტუალები და წეს-ჩვეულებები

სვანეთში კვირის თითოეულ დღეს საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ცალკეული ღვთაებებისა თუ წმინდანების სახელებს უკავშირებდნენ, რაც თითქმის ყველა ეთნოგრაფიული თუ ისტორიული ცნობით დასტურდება. ამ საკითხებს განხილვას საგანგებო ყურადღება ეთმობა ნ. წერედიანის სადისერტაციო ნაშრომში, რომელშიც დეტალურადაა აღნიშრილი თითოეული ღვთაებისა (წმინდანის) და მასთან დაკავშირებული კვირის დღის ფუნქცია და მნიშვნელობა (წერედიანი, 2004: 234–239) (სურ. 1). „გულის მთავარანგელოზის“ დღედ სვანები სამშაბათს მიიჩნევენ, მისი დღესასწაული კი წელიწადში სამკერ – კვირაცხოვლობის (სვანურად „უფლიშის“ ან „ხოშა თანაფის“) მომდევნო სამ სამშაბათს აღინიშნება ბერის თემის სოფელ გულში (ნიუარაძე, 62 :1962).

დღესასწაულზე ტაძარში მხოლოდ მამაკაცები დაიშვებიან. ლოცვა იწყება დილითან; ტაძარში დგას 3 ან 5 მლოცველი მამაკაცი, რომლებიც ერთდროულად იწყებენ ლოცვას და ერთადვე ამთავრებენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი სხვადასხვა ტექსტს ამბობს, ლოცვა სრულიად ჰარმონიულად ჟღერს (სურ. 2). შესაძლოა, ასეთი ლოცვა ყოფილიყო გალობის პირველწყარო. ეკლესიაში რიტუალის დასრულების შემდეგ, პროცესია სპეციალური საგალობლის მღერით გარეთ გამოდის. ბოლოს გამოსულ მამაკაცს ხელში რახით (ადგილობრივი ძლიერი ალკოჰოლური სასმელი) სავსე თასი უჭირავს. გალობით ტაძრის ირგვლივ შემოვლის შემდეგ, რიტუალის ყველა მონაწილე რახის თითო ყლუპს შესვამს. შემდეგ იწყება ფერხული და ცეკვა-თამაში.

როგორც წესი, შესანირ საქონელს ტაძარში ან მის შემოგარენში არ კლავენ. სამკვეთლოში შესაბამის ლოცვას აღავლენენ, ზვარაკს შუბლზე სანთელს მიუნთებენ, შემდეგ სამკერ ძალიან სწრაფად დაატრიალებენ და თან ავადმყოფის სახელს იმეორებენ. ცნობილია, რომ სვანეთში როგორც ვინმეს ეპილეფსია ემართებოდა, მას საკუთარი სახელით არ მიმართავდნენ. მაგალითად, თუ ეპილეფსიით დაავადებულს გიორგი ერქვა, მას გამოსაფხიზლებლად შესახებდნენ: „გაბრიელ, გონს მოდი!“.

გადმოცემა, რომელიც „გულის გაბრიელს“, როგორც მკურნალს ახასიათებს, 2012 წელს გავიზიარა ლატალის სოფელ იფხის მცხოვრებმა 85 წლის დივო გვიჩიანმა: „აქ, ძირითადად, ვისაც „მაითა მაზიგ“ (თავის ტკივილი და სულიერი აშლილობა) აწებებს, ისინი მოდიან. დიდება მის სახელს. გულში ზემოთ 2 კილომეტრი უნდა იარო, ძალიან დიდი აღმართი და ცუდი გზაა. ჩემი ძმა გვყავდა შარშან – თენგიზს ჰქონდა პრობლემები. სანამ ახვალ არყის ხის ტოტებისგან საბელი უნდა გააკეთო და ყელზე შეაბა ავადმყოფს, მერე ამ საბელს ხელს მოჰკიდებს მისი პატრონი და ასე აიყვანს ზემოთ. ეს საბელი ეკლესიის შესასვლელში „ლადბაშში“ (სამკვეთლო)³ უნდა მოხსნან და დატოვონ. თუ უკადმყოფი არ აირია, მაშინ ხელახლა უნდა ამოიყვანო. თუ აირია და დუქი მოერია, ან რამე სიგიურ გამოავლინა, მაშინ დიდება გულის

³ როგორც წერედიანი, ტუიტი და ბურაშვილი აღნიშნავენ, „სვანური საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა ტაძარზე ერთი ან რამდენიმე დამატებითი ოთახის მიშენება, რომელთაგან გვერდითი ფრთის ერთ-ერთი ოთახი გამოიყენება სამზარეულოდ, სადაც ქალები დღიმდე აცხობენ შესანირ ნალიც პურებს“ (50 :2018).

გაბრიელს, უნდა შესწირო საკლავი. სამკვეთლოში დატოვებული საბელით შეწვავენ გულ-ღვიძლს და ავადმყოფს ეშველება. იმ დღეს უამრავი საკლავი იკვლება, სავსეა იქაურობა და უკან არაფერი მოაქვთ. მე არ მინახავს შიგნით, კარგი მოხატულიაო, მაგრამ ქალებს არ უშვებენ. თერგიზს ამის მერე არაფერი აწუხებს. დიდება გულის გაბრიელს“ (ჩაიწერა მ. ჩამგელიანმა).

საველე დაკვირვებები

როცა გულში დღესასწაულზე დასასწრებად ჩავედით, ლოცვა უკვე დაწყებული იყო. ჩვენ შერეულ ჯგუფს წარმოვადგენდით, რომელიც აერთიანებდა სვანებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს და უცხოელებს. ყველა ჩვენგანი ხალხური სიმღერით იყო დაინტერესებული. საკმაოდ მძიმე საგზაო პირობებისა და, განსაკუთრებით, ბოლო ციცაბო აღმართის გამო, ხალხის უმრავლესობა ამ გზას ფეხით გადის. ბერის პეიზაჟი, საიდანაც იშლება ერთ-ერთი საუკეთესო ხედი უშბაზე, გასაოცარია, განსაკუთრებით, თბილ და ნათელ დღეს, როგორსაც დაემთხვა ჩვენი მოგზაურობა (სურ. 3).

წინა საღამოს ჩამგელიანების რაჭის ქალებმა (სოფელი ლახუშდიდან), თითოეულ ჩვენგანს გამოუცხვეს ნალიცი პურები („ლემზირები“), რომლებიც ჩვენ მეორე დღეს გულის მთავარანგელოზის ტაძრის შიგნით მყოფ მამაკაცებს გადავცით, რომ დავცელოცეთ. რამდენადაც ტაძარში მხოლოდ კაცები დაიშვებოდნენ, ჩვენ (სტატიის ავტორები) გარეთ ვიდექით. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სვანთა რიტუალურ სივრცეში დადგენილია როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ტერიტორიები, თუმცა, ქალთა მოძრაობის საზღვრებს კერძმ შიდა სივრცესა და რიტუალურ გარე სივრცეს შორის, თემი ადგენს“ (წტბ, 2018: 62). ჩვენ შემთხვევაში, სვანი ქალები ჩვენი კაგუფიდან ამზადებდნენ ლემზირებს, გადასცემდნენ მათ მლოცველ მამაკაცებს; შეეძლოთ მდგარიყვნენ რიტუალურ სივრცეში, მხოლოდ – ტაძრის გარეთ; ეკრძალებოდათ ტაძარში შესვლა და მონაწილეობა მსხვერპლშერივაში (სურ. 4). ჩვენი კაგუფის წევრ მამაკაცებს კი, განურჩევლად წარმომავლობისა, მიეცათ ტაძარში შესვლის უფლება (მით უფრო, რომ მათ ჰქონდათ ჩამწერი აპარატურა, რაზეც წინასწარ გვერდა შეთანხმება). მართალია, ჩვენ ქალები ბევრს ვერაფერს ვხედავდით, გვესმოდა განუწყვეტელი ლოცვები. ტაძარში მყოფი მამაკაცები ერთმანეთისაგნ დამოუკიდებლად წარმოიქვამდნენ ლოცვებს, თუმცა, მათი ხმები არ ირეოდა ერთმანეთში და არ ქმნიდა კაპაციონიას, არამედ საოცრად ჰარმონიულად ულერდა და პატარა სამლოცველოს კედლებში ნამოგზაურები, მოგუდულად აღწევდა ჩვენამდე.⁴ ლოცვა უწყვეტად გრძელდებოდა, სანამ ხალხის ნაკადი მიედინებოდა ტაძრისაკენ და ნალოც პურებს აწვდიდა მლოცველებს. „ხორა პასაჟირალ!“ („კარგი მგზავრები გყოლოდეს!“) – მოულოდნელად გავიგონეთ ტაძრიდან მამაკაცის ხმა, რომელმაც, როგორც ჩანს, მიკროავტობუსის მძღოლისაგან მიიღო შესაწირი. მლოცველმა მამაკაცებმა ჩვენც გვითხვეს სახელები და ილოცვეს ყოველი ჩვენგანისთვისაც.

ლოცვის რიტუალის დასრულების შემდეგ დადგა ქეიფისა და ცეკვა-ფერხულის დრო. თავდაპირველად, მამაკაცებმა რახით დალოცეს სადღესასწაულო სუფრა და სანამ ჰერ კიდევ ტაძარში იმყოფებოდნენ, დაინყეს სიმღერა „დიდებათა“ („დიდება მთავარანგელოზებს“), რომლის თანხლებით სათითაოდ გამოდიოდნენ ტაძრიდან ხელიხელ ჩაკიდებულები. ბოლოს გამოსულს ხელში რახით სავსე თასი ეჭირა, რომლიდანაც მოგვიანებით ყველას შეასვა თითო ყლუპი (სურ. 5).

⁴ ჩვეულებრივ, ლოცვითი ფორმულები მოიცავს ტექსტს: „დიდაბ აქხად“ – „დიდება შეწნდა“ ან „დიდაბი ლეხებ“ – „დიდების მოსვლა“ (იხ. ასევე წტბ, 2018)

კაცებმა ფერხულით შემოუარეს ტაძარს და გავიდნენ მინდორზე, სადაც უკვე გაშლილი იყო სუფრა და უნდა გაგრძელებულიყო ქეიფი. დანარჩენი ხალხი, ვინც არ ყოფილა ტაძარში და უკვე ილხენდა, შეუერთდა ფერხულს. ამის შემდეგ იმღერეს „ჰარირა“, საზეიმო საცეკვაო სიმღერა, რომელიც სვანეთში ცნობილია როგორც „ლიშლდანი“ (სურ. 6). მართალია, მუსიკალურად ეს სიმღერა „ჰარირას“ სხვა ვარიანტებს ჰგავდა, ტექსტი საგანგებოდ ამ დღესასწაულისთვის იყო შერჩეული: „დაე, გულის მთავარანგელობმა გაბრიელმა დაგვლოცოს დღეს ყველა აქ ყოფი!“ სიმღერისა და ტაძის გააქტიურებასთან ერთად რამდენიმე ხანში შესული მამაკაცი შევიდა მომღერალთა ნახევარწრის შუაში და ცეკვა დაიწყო.

მთის ფერდობზე რამდენიმე მამაკაცი სამსხვერპლო ბატკანს ამზადებდა: ცხოველი ტაძართან მოიყვანეს, შუბლზე სანთელი მიაკრეს, სამჭერ დაატრიალეს და ისევ მთის ფერდობზე წაიყვანეს სამლოცველოსგან მოშორებით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები საკმაოდ გაერთნენ სუფრაზე და საქეიფო განწყობაზე დადგნენ, ჩვენი – ეთნოგრაფებისა და ეთნომუსიკოლოგების ჯგუფის იქ ყოფნამ, კამერებითა და ხმის ჩამწერებით, უბიძგა მათ შეესრულებინათ კიდევ რამდენიმე სიმღერა. თუმცა, ვინც ტექსტიც გაიხსენა და მელოდიაც, ძირითადად, მოხუცები იყვნენ. შემდეგ მათ სთხოვეს სიმღერა ჩვენი ჯგუფის მომღერლებს, რაზეც თანხმობა მიიღეს. დაკლული ბატკანი უკვე ცეცხლზე იწვებოდა, სმა-ჭამა და, შიგადაშიგ, სიმღერა კი საათობით გაგრძელდა.

მსჯელობა და მოკლე ანალიზი

ლეგენდებით, ისტორიულ მონაცემებითა და თანამედროვე დაკვირვებებით ცხადი ხდება, რომ „გულის გაბრიელის“ დღესასწაული მნიშვნელოვანია ბერიელებისთვის, მაგრამ ისევე როგორც ბევრ ტრადიციულ დღესასწაულზე, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, აქცენტი გადატანილია სმა-ჭამაზე და არა ისეთ ხალხურ ჩვეულებებზე, როგორებიცაა სიმღერა და ცეკვა. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანილად სცენაზე გადატანილი და ალიქმება როგორც „წარმოდგენა“ და არა როგორც „წეს-ჩვეულება“.⁷ ჩვენთან მოსაუბრებებმა აღნიშნეს, რომ ხშირად აღარ მღერიან, თუმცა, წამახალისებელ გარემოებებში მზად არიან ამისთვის. ამასთან, ლოცვის ტექსტი, რომლითაც მლოცველი კარგ მგზავრებს უსურვებს მიკროავტობუსის მძღოლს, ასევე, წყალობის გამოთხვა ყოფილი პრობლემების მოსაგვარებლად ცხადყოფს რიტუალების მორგების ტენდენციას თანამედროვე სიტუაციებთან. უცხოების – არა ტურისტების, არამედ მკვლევრების – სტუმრობაში განაპირობა სიმღერებისა და ცეკვების დემონსტრირების მოთხოვნილება, რაც, შესაძლოა, კამერის ფაქტორმა განსაზღვრა – შემსრულებლებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ ჩანაწერს ტელევიზიით აჩვენებდნენ.

გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ სვანური დღესასწაულების უმრავლესობა ინერციით აგრძელებს არსებობას, ზოგიერთი კი (მაგ.: ლიფანალი ამ ლიმპარი) პოპულარობას ინარჩუნებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფართოდ შესწავლის საგანია, არამედ უცხოელთა ინტერესის გამოც. ხშირ შემთხვევაში

⁵ მსჯელობა სემანტიკურ და ასემანტიკურ ტექსტებზე სვანურ სიმღერებში, ი.ხ. მუვანაძე და ჩამგელიანი (2018, 2016).

⁶ გაბრელ ხუა ლადი ლადაღსუ გუაჲი, ნაი ამჩუ მერდე მარეს.

⁷ ეს ორი ცნება არ გამორიცხავს ერთმანეთს: აქ იგულისხმება, რომ წეს-ჩვეულება ხშირად იყინება და ინახება, მხოლოდ, როგორც წარმოდგენა, რამდენადაც ის გამოდის პრაქტიკის საზღვრებიდან და დადგმითი ჩვენების სახეს იღებს.

სწორედ ეს განაპირობებს ამრიტუალების რეკონსტრუირებას (კაგანოვა, 103 :2021), ან გადაქცევას „სპექტაკლად ტურისტებისთვის“, რომელიც აღწერილი აქვთ წერედიანს, ტურისა და ბუხრაშვილს (წტბ, 2018: 63). საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად ორთოფოქსული ეკლესიის აღდგენამ, ასევე, სვანეთის ტურისტულ ზონად გამოცხადებამ და მის განვითარებაში ინვესტიციების ჩადებამ, გავლენა იქნია აქაურ რიტუალებსა და მათ შენარჩუნებაზეც. ამ ფაქტს დასახელებული მკვლევრებიც აღნიშნავენ, განსაკუთრებით, დღესასწაულებთან დაკავშირებით. მათი სიტყვებით: „რიტუალების ადგილობრივი აღმსრულებლები, რომლებმაც 1991 წლიდან კონტროლი მოიპოვეს ამ პროცესზე, 24 წლის შემდეგ პირდაპირი მნიშვნელობით გამოდევნილები აღმოჩნდნენ ტურისტული ჩაგვების მიერ, მაშინ როცა მართლმადიდებელი მღვდლები ღვთისმსახურებას ატარებდნენ ტაძრებში“ (წტბ, 2018: 63)⁸.

„გულის გაბრიელის“ დღესასწაული ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ძველებურად კონტროლდება რიტუალების ადგილობრივი აღმსრულებლების მიერ, ტურისტებისა და ოფიციალური პირების გარეშე. ამას, რასაკვირველია, დადებითი მხარეც აქვს და პრობლემებიც ახლავს: ერთი მხრივ, რიტუალების აღსრულების პრაქტიკის გადაცემა მომავალი თაობისათვის ორგანული პროცესია, მეორე მხრივ კი, ამას მივყავართ სვანური სიმღერებისა და ცეკვების დავინუბასთან, რომლებიც ადრე რიტუალების განუყოფელი ნაწილი იყო. ამასთან, მემკვიდრეობის შენახვის დისკურსი, რაც უმნიშვნელოვანესია სვანეთისთვის და მისი სტატუსისთვის UNESCO-ს პროგრამაში (Applis, 2020), არსებით როლს ასრულებს ისეთი დღესასწაულების პოტენციურ მომავალში, როგორიცაა გულის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის დღესასწაული⁹. როგორც ჩანს, ასე თუ ისე რაღაც უთუოდ მაინც დაიკარგება. საქმე მხოლოდ ისაა, ვინ წყვეტს, რა შეიძლება იყოს ეს.

თარგმნა მაკა ხარძიანმა

⁸ იხ. წერედიანი, ტუიტი, ბუხრაშვილი (63 :2018) სიტუაციის სრულად ნარმოდგენისთვის. მეც განვიხილავ მსგავს ფენომენს ჩემს სადოქტორო დისერტაციაში. იხ. კაგანოვა (97 :2021–159).

⁹ ამ სტატიაში საკმარისად ვერ ჩავუღრმავდით კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემას. შესაძლოა, ამ თემის უფრო დეტალური დამუშავების პროცესში, მომვალში, აღნიშნული პრობლემაც მოვიცათ. შესაბამისი კონტექსტი და ამჟამინდელი დისკურსი იხ. Bendix, Eggert, and Peselmann (2012); Bithell (2014) – ამ ნაშრომში კონკრეტულადაა განხილული ქართული მუსიკის აღორძინება; Coombe and Weiss (2015) Kirschenblatt-Gimblett (1995, 2004); Meskell (2018); Timothy and Boyd (2006); Tsitsishvili (2009) – რომელიც განხილულია ქართული პოლიფონია და UNESCO-ს მემკვიდრეობის პროგრამა და სხვა.